**ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ოქმი # 8**

ქ. ონი 05. 09. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

**სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი:** სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, თამაზ მეტრეველი, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

**არ ესწრებოდნენ :** ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

*/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე/*

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

*/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე/*

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ონის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ ფრაქციამ, ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", ფრაქციის სხდომაზე განიხილა წარმოდგენილი ანგარიში, რომელიც საკმაოდ მძიმე და კრიტიკულია, ფრაქცია თანახმაა, საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად და წარმოადგენს აღნიშნული ანგარიშის შეფასებასა და რეკომენდაციებს.

ს. ლობჯანიძემ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიში შეაფასა დადებითად და აღნიშნა, რომ ანგარიშის მიხედვით დეტალურადაა შესწავლილი და წარმოდგენილი მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების განხორციელებისას არსებული ხარვეზები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი, ონის მუნიციპალიტეტის  მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის შესახებ შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ  სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სერგო ლობჯანიძე**

კომისიის თავმჯდომარე